ხელშეკრულება № 16/11/10
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 16 ნოემბერი 2018 წელი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 52-ე მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესი“-ს მოთხოვნათა შესაბამისად, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში, გამარტივებული შესყიდვის განხორციელების მიზნით.
(CPV 64110000)

ერთის მხრივ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია წარმოდგენილი თავმჯდომარის უფლებამოსილი პირის (ცესკოს თავმჯდომარის 2017 წლის 29 დეკემბრის #01-152 ბრძანება) თავმჯდომარის მოადგილის გიორგი შარაბიძის სახით, შემდგომში "შემსყიდველი" და მეორეს მხრივ, შპს „ჯორჯიან ექსპრეს“-ის ოფიციალური წარმომადგენლობა საქართველოში, შემდგომში წოდებული, როგორც „DHL“ წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის პაატა სარიშვილი სახით შემდგომში "მიმწოდებელი", ურთიერთშეთანხმების საფუძველზე დებენ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შეფუთოს და გადმოგზავნოს დანართით გათვალისწინებულ ქვეყნებიდან საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებული საარჩევნო ინვენტარი (შემდგომში „ინვეტარი“),საქართველოში ცენტრალური საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციულ შენობაში, შემდგომში „მომსახურება“, ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი „მომსახურება" და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

2. მომსახურების ღირებულება.

2.1. მთლიანი სახელშეკრულებო თანხა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადებისა და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯის ჩათვლით (მათ შორის დღგ) შეადგენს 35046.34 (ოცდათხუთმეტიათას ორმოცდაექვსი ლარი ოცდათოთხმეტი თეთრი) ლარს.
2.2 შეყიდვების ობიექტის დეტალური ხარჯთაღრიცხვა მოცემულია დანართში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. მომსახურების მიღება-ჩაბარება

3.1. მომსახურება ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

3.2. მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ მხარეთა წარმომადგენლები, რომლებიც აფორმებენ მიღება-ჩაბარების აქტს მიწოდებული მომსახურების მიხედვით.

4. მომსახურების მიწოდების ვადები და ადგილი

4.1 მომსახურების მიწოდება ხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 17 ნოემბრისა.

4.2. მომსახურების მიწოდება ხორციელდება დანართით გათვალისწინებულ ადგილებში.

5. გარანტია

5.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შეუფერხებლად და დაზიანების გარეშე უზრუნველყოფს ტვირთის გადაზიდვას.

5.2 ტვირთის დაზიანების/დაკარგვის შემთხვევაში ზარალის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მომსახურების მიწოდების შემდეგ ხელშეკრულების 3.2 პუნქტის მიხედვით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

6.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

7.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

7.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

7.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. უფლებების გადაცემა

8.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მესამე პირს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1 ხელშეკრულების მონაწილე მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

10.2 შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს პირგასამტეხლოს სახით ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის გადასახდელი თანხის 0.02 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.

10.3 მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას გადაუხადოს შემსყიდველს პირგასამტეხლოს სახით 4.1 პუნქტით გათვალისწინებული მიწოდების ვადების დარღვევისთვის დაგვიანებით მიწოდებული საქონლის/მომსახურების ღირებულების 0.02 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.

10.4 ხელშეკრულების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო მისაწოდებელი საქონლის/მომსახურების ღირებულების 10.0 პროცენტის ოდენობით.

10.5 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო სახელშეკრულებო თანხის 20.0 პროცენტის ოდენობით.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს სრული მომსახურება ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

11.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.4 ამ მუხლის 11.3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული მომსახურების ღირებულება.

12. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

12.1 შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებლის მიერ მომსახურების მიწოდებისას განახორციელოს კონტროლი. კონტროლს ახორციელებს შემსყიდველის წარმომადგენელი: გიორგი სეხნიაშვილი.

12.2 კონტროლის ფუნქციაა:

- გაუწიოს კონტროლი მომსახურეობის ვადას, ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას.
- განახორციელოს კონტროლი მიწოდებული მომსახურების ხარისხზე და დაადგინოს შეესაბამება, თუ არა მიწოდებული მომსახურების ხელშეკრულების მოთხოვნებს.
- მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურების მიღება.

12.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

12.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. ფორს-მაჟორი

13.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი'' ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

14.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს სასამართლოს.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელისმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 30 იანვრის ჩათვლით.

15.2 ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად რომლებიც ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები

„შემსყიდველი“
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია
ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ
საიდენტიფიკაციო კოდი: 203851509
ტელ: (995 32) 2510051
სახელმწიფო ხაზინა
ანგ №200122900; კოდი: 220101222

მიმწოდებელი
შპს „ჯორჯიან ექსპრესი“
მის: ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. 105.
ს/კ: 201 954 965
ტელ.: 296 6060
ს/ს ბანკი „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგ №: GE 70 TB 0000 003 9105 0200

გიორგი შარაბიძე	პაატა სარიშვილი
თავჯდომარის მოადგილე	გენერალური დირექტორი

დანართი

თარიღი	გამგზავნი	მიმღები	ფასი ლარში
11/1/2018	გერმანია	საქართველო	1033.69
შინაარსი	7253477685		
11/2/2018	დიდი ბრიტანეთი	საქართველო	731.34
შინაარსი	7351764453		
11/2/2018	დანია	საქართველო	505.74
შინაარსი	7351725651		
11/2/2018	ეგვიპტე	საქართველო	549.4
შინაარსი	5085251614		
11/2/2018	ლატვია	საქართველო	1076.9
შინაარსი	8381330495		
11/2/2018	ნორვეგია	საქართველო	432.97
შინაარსი	7342316715		
11/2/2018	ლიეტუვა	საქართველო	396.6
შინაარსი	7430177635		
11/2/2018	ჩინეთი	საქართველო	731.34
შინაარსი	3432319380		
11/2/2018	ნიდერლანდები	საქართველო	392.96
შინაარსი	4213108756		
11/5/2018	უკრაინა	საქართველო	1013.77
შინაარსი	2992809643		
11/5/2018	უნგრეთი	საქართველო	400.37
შინაარსი	7693667343		
11/12/2018	შვედეთი	საქართველო	1263.54
შინაარსი	7712833995		
11/5/2018	სლოვაკეთი	საქართველო	407.71
შინაარსი	7342423012		
11/5/2018	ესპანეთი	საქართველო	1006.44
შინაარსი	2041314030		
11/5/2018	ბულგარეთი	საქართველო	363.63
შინაარსი	7352083211		
11/5/2018	ბელგია	საქართველო	841.15
შინაარსი	2285614284		
11/5/2018	ბელარუსი	საქართველო	609.75
შინაარსი	7712546166		
11/5/2018	იტალია	საქართველო	885.22
შინაარსი	6213996176		
11/5/2018	საფრანგეთი	საქართველო	1234.16
შინაარსი	7342732950		

11/5/2018	ჩეხეთი	საქართველო	481.17
შინაარსი	7352101374		
11/5/2018	პორტუგალია	საქართველო	609.75
შინაარსი	7342516215		
11/5/2018	კანადა	საქართველო	532.61
შინაარსი	4961611686		
11/5/2018	ქუვეითი	საქართველო	602.39
შინაარსი	5084852253		
11/5/2018	თურქეთი	საქართველო	921.94
შინაარსი	6014100470		
11/5/2018	ყაზახეთი	საქართველო	789.71
შინაარსი	4771214346		
11/5/2018	სომხეთი	საქართველო	404.06
შინაარსი	9927568442		
11/5/2018	გერმანია	საქართველო	1050.52
შინაარსი	8328307352		
11/5/2018	ირლანდია	საქართველო	584.01
შინაარსი	7430269405		
11/5/2018	საბერძნეთი	საქართველო	2068.26
შინაარსი	8574091470		
11/5/2018	შვეიცარია	საქართველო	487.31
შინაარსი	2450041635		
11/5/2018	თურქეთი	საქართველო	513.36
შინაარსი	6371027320		
11/5/2018	ესპანეთი	საქართველო	851.85
შინაარსი	2041324095		
11/5/2018	მოლდოვა	საქართველო	364.56
შინაარსი	1039333676		
11/5/2018	პოლონეთი	საქართველო	487.31
შინაარსი	2208396013		
11/5/2018	ესტონეთი	საქართველო	591.47
შინაარსი	7712925323		
11/5/2018	აშშ	საქართველო	721.67
შინაარსი	8973139873		
11/5/2018	კვიპროსი	საქართველო	550.54
შინაარსი	8910885970		
11/6/2018	საბერძნეთი	საქართველო	2159.03
შინაარსი	7712930304		
11/6/2018	უზბეკეთი	საქართველო	436.64
შინაარსი	6578804853		
11/7/2018	აშშ	საქართველო	1437.64
შინაარსი	7938438782		
11/8/2018	ყატარი	საქართველო	677.44

შინაარსი	6823421393		
11/8/2018	უკრაინა	საქართველო	1007.65
შინაარსი	5518356303		
11/8/2018	უკრაინა	საქართველო	761.4
შინაარსი	3995244923		
11/9/2018	აზერბაიჯანი	საქართველო	1094.59
შინაარსი	1321142012		
11/16/2018	თურქეთი	საქართველო	357.71
შინაარსი	7661527790		
11/16/2018	გერმანია	საქართველო	625.07
შინაარსი	5418187013		
სულ:			35046.34

„შემსყიდველი“
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

„მიმწოდებელი”
შპს „ჯორჯიან ექსპრესი“

გიორგი შარაბიძე
თავჯდომარის მოადგილე

პაატა სარიშვილი
გენერალური დირექტორი

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

ქ.თბილისი 16 ნოემბერი 2018 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ შპს „ჯორჯიან ექსპრესი“-სგან სახით, საფოსტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტესეთა კონფლიქტს.

მიმწოდებლის შერჩევაში მონაწილე პირი
თავჯდომარის მოადგილე

გიორგი შარაბიძე

კონტროლის განმახორციელებელი პირი
საარჩევნო პროცესების მართვის
დეპარტამენტის უფროსი

გიორგი სეხნიაშვილი